06 01 05	მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	60.0	60.0	60.0	60.0
06 01 06	აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	10.0	10.0	10.0	10.0
06 01 07	0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება	10.0	10.0	10.0	10.0
06 01 08	ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	18.0	20.0	20.0	20.0
06 01 09	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა და რეაბილიტაცია	4.1	0.0	0.0	0.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	948.1	911.0	931.0	951.0
06 02 01	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	70.0	50.0	50.0	50.0
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	52.0	50.0	60.0	70.0

06 02 03	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	45.1	30.0	30.0	30.0
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან შვილთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	370.0	380.0	390.0	400.0
06 02 05	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	35.0	35.0	35.0	35.0
06 02 06	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	20.0	15.0	15.0	15.0
06 02 07	საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 08	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	11.0	11.0	11.0	11.0
06 02 09	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა	3.0	3.0	3.0	3.0
06 02 10	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპიუტერული მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	2.0	2.0	2.0	2.0
06 02 11	დიდი სამამულო ომის მონაწილე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	5.0	5.0	5.0	5.0
06 02 12	წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის თანადაფინანსება	10.0	10.0	10.0	10.0
06 02 13	სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფა	105.0	100.0	100.0	100.0
06 02 14	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა	220.0	220.0	220.0	220.0
06 03	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	100.0	100.0	100.0	100.0
06 04	სარიტუალო მომსახურება	10.0	10.0	10.0	10.0
06 04 01	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	5.0	5.0	5.0	5.0
06 04 02	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი	5.0	5.0	5.0	5.0
06 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	375.0	390.0	400.0	410.0
06 06	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარება	137.8	0.0	0.0	0.0
06 07	ა(ა)იპ „კეთილი სამარიტელი“-2014 თანადაფინანსება	6.0	6.0	6.0	6.0
06 08	ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა	8.4	8.4	8.4	8.4
06 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	10.0	10.0	10.0	10.0
06 10	მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა	20.0	10.0	10.0	10.0

ა) ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		417.1
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება. არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრება. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა. არსებულ პირობებთან ადაპტირება, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება; 2. ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება; 3. ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა; 4. თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა; 5. მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა; 6. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა; <p>7. 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება;</p> <p>8. ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა.</p> <p>პროგრამის მიზანს წარმოადგენს მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.	

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		155.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: საგანმანათლებლო, აღზრდით და საგანმანათლებლო-აღზრდით დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; საგანმანათლებლო, აღზრდით და საგანმანათლებლო-აღზრდით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, სასწრაფო მეტყობინების სისტემის დახვეწას და გაუმჯობესებას; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივ შემცირებას მისი კონტროლის გზით; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას; არაგადამდებ დაავადებათა პრევენციას და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვას მოსახლეობის ინფორმირების გზით.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მეტად დაცული ჯანმრთელობის მდგომარეობა	

ა.ბ) ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p> <p>06 01 02</p>	<p>ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p> <p>100.0</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს პაციენტის დაფინანსებაში თანამონაწილეობას და გამოითვლება შემდეგი წესით:</p> <p>ა) თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა მთლიანი ღირებულების 70%-ზე მეტია, დაფინანსდება პაციენტის გადასახდელი თანხის ნახევარი;</p> <p>ბ) ხოლო თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა 70%-ზე ნაკლებია-დაფინანსდება საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხის 25%;</p> <p>გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დასაფინანსებელი თანხის ოდენობა განსაზღვრულია არანაკლებ 50 და არაუმეტეს 700 ლარის ოდენობით. პროგრამა არ ითვალისწინებს საყოველთაო დაზღვევით 100%-ით დაფინანსების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობას თანადაფინანსებაში.</p> <p>2. პროგრამაში ჩართვა ხორციელდება:</p> <p>ა) საგარანტიო წერილის გაცემით, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ უნაადლო ანგარიშსწორებით თანხის ჩარიცხვით მომსახურების მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;</p> <p>ბ) სტაციონარული მომსახურების გაწევის შემდგომ ბენეფიციარის მომართვის შემთხვევაში.</p> <p>3. დაფინანსება მოხდება უნაადლო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით;</p> <p>4. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:</p> <p>ა) ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100;</p> <p>ბ) საყოველთაო დაზღვევის საგარანტიო წერილის ასლი;</p> <p>გ) სასწრაფო გადაუდებელ შემთხვევაში საყოველთაო დაზღვევის კალკულაცია.</p>		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამით მოსარგებლე პირების ფინანსური დახმარება და მათი პირობების გაუმჯობესება.</p>		

ა.გ) ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p> <p>06 01 03</p>	<p>ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p> <p>30.0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან ფსიქიკური აშლილობებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ სსე (სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა) შემოწმების აქტის ამონაწერს სტატუსით – „მკვეთრად გამოხატული“ (პირველი ჯგუფი).</p> <p>საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოთხოვნილიქნეს სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულებებიდან ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100.</p> <p>2. პროგრამა გათვლილია 25 ბენეფიციარზე და ითვალისწინებს თითოეულზე ყოველთვიურად, უნაადლო ანგარიშსწორებით, 100 ლარის ჩარიცხვას (აუცილებლობის შემთხვევაში დახმარება შეიძლება ჩაერიცხოს ბენეფიციარის</p>		

კანონიერ მხარდამჭერს).

მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
--------------------	--

ა.დ) თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 04		30.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან პაციენტები, რომლებიც ჩართულნი არიან თირკმლის დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და აღნიშნული მომსახურების მისაღებად სისტემატიურად უწყევთ გადაადგილება სხვა ქალაქში;</p> <p>2. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 150 ლარის ჩარიცხვას;</p> <p>3. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს თირკმლის დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100. პროგრამა გათვლილია 20 ბენეფიციარზე.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.ე) მუდმივად ან/და სისტემატიურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუდმივად ან/და სისტემატიურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 05		60.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან იშვიათი დაავადების მქონე პაციენტები (გაფანტული სკლეროზი, სირინგომიელია, მოტონეირონთა დაავადება, კუნთთა პროგრესული დისტროფია, ბავშვთა ცერებრალური დამბლა, სისტემური სკლეროდერმია, აუტოიმუნური ჰეპატიტი, რეტის სინდრომი, სისტემური წითელი მგლურა, ლეიკემია - ლეიკოზი, პარკისონის დაავადება, ცელიაკია), რომლებიც მუდმივად ან სისტემატიურად საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობასა და კლინიკო-ლაბორატორიულ კვლევებს.</p> <p>2. ბენეფიციარმა სამედიცინო კლინიკიდან უნდა წარმოადგინოს დიაგნოზის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 საჭირო მკურნალობისა და კვლევების მითითებით.</p> <p>3. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით, პირად ანგარიშზე 100 ლარის ჩარიცხვას. პროგრამა გათვლილია 50 ბენეფიციარზე.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობა		

ა.ვ) აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა

	კოდი	დაფინანსება
--	------	-------------

პროგრამის დასახელება	06 01 06	აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	ათას ლარში 10.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან (ბავშვა აუტიზმი, ატიპური აუტიზმი, ასპერგერის სინდრომი და განვითარების დაუზუსტებელი ზოგადი აშლილობა) ასა-ს მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა მშობლები წარმოადგენენ ნეიროგანვითარების ცენტრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, „ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის“, რეგისტრირებული კავშირის „საქართველოს ბავშვები“, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის და სხვა სპეციალიზირებული ლიცენზირებული დაწესებულებების ბენეფიციარისთვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესაბამის ხარჯთაღრიცხვას, დიაგნოზის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100-ს, ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლს და ერთერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლს.</p> <p>2. მუნიციპალიტეტის მერის მიერ ბენეფიციარზე გაიცემა საგარანტიო წერილი ჩასატარებელი ღონისძიებების ღირებულების 70%- ის ოდენობით დაფინანსებაზე, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ.</p> <p>3.პროგრამა გათვლილია სავარაუდოდ 10 ბენეფიციარზე.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.ზ) 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 06 01 07	0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში 10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)პ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1.პროგრამა ითვალისწინებს 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების (კარდიოლოგიური, ნევროლოგიური, სომატური, ჰემატოლოგიური, ბიოქიმიური, სეროლოგიური, იმუნოლოგიური, ციტოლოგიური, მორფოლოგიური, ციტოგენეტიკური) ღირებულების სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას არაუმეტეს 700 ლარისა.</p> <p>2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია :</p> <p>ა) ჯანმრთელობის ცნობა ფ N100 საჭირო მაღალტექნოლოგიური კვლევის მითითებით;</p> <p>ბ) მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაცემული შესაბამისი ანგარიშფაქტურა;</p> <p>გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება.</p> <p>3. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე გაიცემა საგარანტიო წერილი, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ, უნაადლო ანგარიშსწორებით თანხის ჩარიცხვით მომსახურების მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.</p> <p>4.პროგრამა გათვლილია სავარაუდოდ 15 ბენეფიციარზე.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებში ავდემოვი კონტიგენტის გამოვლენა.		

ა.თ) ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 08		18.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც ჩართულნი არიან აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში და შესაბამისი მომსახურების მისაღებად სისტემატიურად უწევთ გადაადგილება სხვა ქალაქში, თითოეული ბენეფიციარი თვეში გადის 8-10 სეანსს. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურ ფინანსურ მხარდაჭერას (პროგრამაში ჩართვის პერიოდისთვის) 100 ლარის ოდენობით, ბენეფიციარის, ან მისი მშობლის პირად ანგარიშზე უნაღდო ანგარიშწორებით თანხის ჩარიცხვას.</p> <p>2. პროგრამა გათვლილია 15 ბენეფიციარზე.</p> <p>3.წარმოსადგენი დოკუმენტაცია :</p> <p>ა)ფორმა N100 ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მითითებით;</p> <p>ბ)პროგრამის მიმწოდებლის მიერ გაცემული ცნობა ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის ხანგრძლივობის შესახებ (ყოველთვიურად, ან სრული კურსის პერიოდის მითითებით);</p> <p>გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებში ავადმყოფი კონტიგენტის გამოვლენა.		

ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

ბ.ა) მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა გათვლილია მოქალაქეებზე(ოჯახებზე) , რომლებიც ვერ ფინანსდებიან სხვა ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამებით და აქვთ მძიმე ყოფითი პრობლემები, რომელიც დადასტურებულია ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამავე ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობით. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ფულადი დახმარების გაცემას 100-დან 200 ლარამდე ოდენობით ადმინისტრაციული ერთეულებისათვის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული აქტით დადგენილი თვიური ლიმიტის ფარგლებში.</p> <p>2.შესაბამის დოკუმენტაციას ყოველთვიურად მერის წარმომადგენლები განსახილველად წარადგენენ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვისა და ადმინისტრირების სოციალურ კომისია“-ზე (შემდგომში „სოციალურ კომისია“).</p> <p>3.იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ ბენეფიციარზე გასაცემი ერთჯერადი დახმარების ოდენობა არარის შესაბამისი, ის დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს ბენეფიციარისთვის ფულადი დახმარების თაობაზე. მერი ინდივიდუალურად განსაზღვრავს ბენეფიციარზე ფულადი დახმარების ოდენობას 200- დან 1000- ლარამდე ფარგლებში. (აღნიშნული მიმართულებით თანხების წლიური ოდენობა განისაზღვრება პროგრამის ბიუჯეტის 15%-ის ფარგლებში).</p> <p>4.გასაცემი თანხის ოდენობას და დახმარების გაწევზე საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი „სოციალური კომისია“.</p> <p>5. დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.</p>		

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა
------------------------------	--

ბ.ბ) ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		52.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიური დედის რიგით პირველ და მეორე ცოცხლად შობილ შვილზე ერთჯერად ფულად დახმარებას 400 ლარის ოდენობით. (ტყუპების შემთხვევაში ყოველ ცოცხლადშობილ თითოეულ ბავშვზე გაიცემა 400 ლარი);</p> <p>2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</p> <p>ა) ახალშობილის დაბადების მოწმობის ასლი;</p> <p>ბ) ერთერთი მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;</p> <p>გ) ცნობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან ახალშობილის რეგისტრაციის შესახებ.</p> <p>3. დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.</p> <p>4. პროგრამა გათვლილია სავარაუდოდ 130 ბენეფიციარზე</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალშობილთა ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ბ.გ) საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		45.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამით მოსარგებლენი არიან საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანები (ომისა და შრომის ვეტერანები, პენსიონერები, 100 წელს გადაცილებული პირები და ა.შ.), აფხაზეთისა და 8 აგვისტოს საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა, ასევე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული საჯარო და ძალადგანსტრუქტურის წარმომადგენელთა ოჯახები, რომელთაც საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გაეწევათ ერთჯერადი ფულადი ან/და მატერიალური დახმარება.</p> <p>2. ბენეფიციართა სიები მიიღება სოციალური მომსახურების სააგენტოდან და/ან ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისგან.</p> <p>3. სოციალური ჯგუფების შერჩევა და ბენეფიციარზე გასაცემი თანხის ოდენობა ან/და მატერიალური დახმარების ჩამონათვალი განისაზღვრება შესაბამისი „სოციალური კომისიის“ მიერ.</p>		

ბ.დ) მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან შვილთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან შვილთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		370.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მრავალშვილიანი ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი.</p> <p>2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია :</p> <p>ა) არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობის ასლები;</p> <p>ბ) მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი. (ასეთის არსებობის შემთხვევაში);</p> <p>გ) ერთერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი.</p> <p>3. მრავალშვილიანი ოჯახის თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად გაიცემა თანხა 50 ლარის ოდენობით.</p> <p>4. დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

ბ.ე) შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		35.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ პირებს, რომლებიც არიან არასაპენსიო ასაკის შშმ პირები.</p> <p>2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია :</p> <p>ა) სსე (სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა) შემოწმების აქტის ამონაწერს სტატუსით-მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი) და არიან ეტლით მოსარგებლე, ან საწოლს მიჯაჭვული მწოლიარე და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს;</p> <p>ბ) ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 მუდმივად მოვლის საჭიროების მითითებით;</p> <p>გ) პირადობის მოწმობის ასლი;</p> <p>დ) სარეიტინგო ქულის დამადასტურებელ დოკუმენტი.</p> <p>3. დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად თითოეული ბენეფიციარზე 100 ლარის ოდენობით უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. პროგრამა გათვლილია 25 ბენეფიციარზე.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

ბ.ვ) დიდ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვები.</p> <p>2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</p> <p>ა) სოციალური მომსახურების სააგენტოდან სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;</p> <p>ბ) დაბადების მოწმობის ასლი;</p> <p>გ) პირადობის მოწმობის ასლი. (არსებობის შემთხვევაში);</p> <p>დ) მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მეურვის პირადობის მოწმობის ასლი;</p> <p>ე) პირადი საბანკო ანგარიში.</p> <p>3. დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად თითოეული ბენეფიციარზე 300 ლარის ოდენობით, უნაღდო ანგარიშსწორებით მეურვის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.</p> <p>პროგრამა გათვლილია 6 ბენეფიციარზე.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოფითი პრობლემების გაუმჯობესება.		

ბ.ზ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 08		11.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობებიდან მერიის მიერ მიზნობრივად გამოსახლებულ პირთა დროებით საცხოვრისით უზრუნველყოფა, კერძო სექტორში მათთვის საცხოვრებელი ფართის დაქირავებით (არაუმეტეს 200 ლარისა თვეში).</p> <p>2. დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით თითოეული ბენეფიციარის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. პროგრამა გათვლილია სავარაუდოდ 5 ბენეფიციარზე.</p> <p>3. ბენეფიციარის იდენტიფიცირება და ქირავნობის თანხის ოდენობის განსაზღვრა მოხდება შესაბამისი „სოციალური კომისიის“ მიერ.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართა დახმარება		

ბ.თ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	--	------------------------

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მოქალაქეებს, რომლებიც არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი.</p> <p>2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია :</p> <p>ა) საქართველოს შსს შესაბამისი სამსახურის, ან /და სასამართლო ორგანოს ან /და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ სხვა დოკუმენტი;</p> <p>ბ) პირადობის მოწმობის ასლი.</p> <p>3. ბენეფიციარის დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ბენეფიციარის პირად ანგარიშზე წელიწადში ერთხელ 500 ლარის ჩარიცხვით. პროგრამა გათვლილია 6 ბენეფიციარზე.</p>
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება

ბ.ი) სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		2.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს არასაპენსიო ასაკის სტაციონარული მკურნალობის შემდგომ კომპატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ფულად მხარდაჭერას, რომლებსაც მკურნალობა უგრძელდებათ ბინაზე და ხანგრძლივად საჭიროებენ ზრუნვასა და მეტვალყურეობას.</p> <p>2.წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</p> <p>ა) ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100;</p> <p>ბ) სსე დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);</p> <p>გ) ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;</p> <p>დ) ოჯახის წევრის, ან/და მეურვის პირადობის მოწმობის ასლი.</p> <p>3. განმცხადებელს (ბენეფიციარის ოჯახს) ჩაერიცხება უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველთვიურად 200 ლარი.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

ბ.კ) დიდი სამამულო ომის ვეტერანთა მონაწილე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დიდი სამამულო ომის ვეტერანთა მონაწილე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 11		5.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის კომუნალური მომსახურების გადასახადის (დენი, წყალი, გაზი) სუფსიდირების მიზნით ფინანსურ მხარდაჭერას ყოველთვიურად წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, არაუმეტეს 300 ლარისა.</p> <p>2. ბენეფიციარის დაფინანსება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.</p> <p>3. პროგრამის განმხორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური.</p>
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება

ბ.ლ) წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის თანადაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 06 02 12	წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის თანადაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში 10.0
ქვეპროგრამის განმხორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:</p> <p>ა) მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი) ოჯახების შვილებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ოჯახის სარეიტინგო ქულა აქვთ 120 000-ზე ნაკლები და არ არიან ჩართული დაფინანსების არცერთ სახელმწიფო პროგრამაში. პრიორიტეტი ენიჭება, პირველ რიგში, სტუდენტის მაღალ აკადემიურ მოსწრებას შეფასების სისტემით 91 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით (GPA 3-4), შემდეგ ოჯახის შედარებით დაბალ სარეიტინგო ქულას;</p> <p>ბ) საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების სახელოვნებო სფეროს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს, რომლებიც წარჩინებული არიან თავიანთი პროფილით (მაგალითად, პერსონალური გამოფენა, წიგნის გამოცემა, მთავარი როლი თეატრალურ წარმოდგენაში, მთავარი პარტია საოპერო დადგმაში და ა.შ).</p> <p>2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია :</p> <p>ა) სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი;</p> <p>ბ) დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან შესაბამისი პროფილით სტუდენტის წარჩინების თაობაზე;</p> <p>გ) უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნა სწავლის დაფინანსების თაობაზე;</p> <p>დ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.</p> <p>3. დაფინანსდება მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის ნახევარი, მაგრამ არაუმეტეს 1125 ლარისა, დარჩენილი თანხის დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.</p> <p>4. დაფინანსება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით, შესაბამის სასწავლებელში თანხის ჩარიცხვით.</p> <p>5. ბენეფიციართა თანადაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი „სოციალური კომისიის“ მიერ.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

ბ.მ) სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 06 02 13	სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში 105.0
ქვეპროგრამის			

განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, (რომელთა საცხოვრებელი სახლი არ ექვემდებარება რეაბილიტაციას) ინდივიდუალური საცხოვრისით (მათ შორის, მსუბუქი ასაწყობი კონსტრუქციით) უზრუნველყოფას, არაუმეტეს 25 000 ლარის ფარგლებში, ხოლო მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირებისათვის, რომლის საცხოვრებელი სახლი ექვემდებარება რეაბილიტაციას, მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, "ერთი ოთახის" მოწყობას, თითოეულ ოჯახზე 10 000 (ათი ათასი) ლარის ფარგლებში.</p> <p>2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია :</p> <p>ა) ბენეფიციარის შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, შშმ პირი, ომის ვეტერანი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი და სხვა);</p> <p>ბ) ცნობა ბენეფიციარის ოჯახის სრული შემადგენლობის შესახებ;</p> <p>გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის საკუთრებაზე ან/და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებული საცხოვრებელი სახლის ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებით;</p> <p>დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან განმცხადებლის და მის ოჯახის წევრებზე სხვა უძრავი ქონების არარსებობის შესახებ.</p> <p>ე) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.</p> <p>3. ბენეფიციარის ინდივიდუალური საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე, ან მისთვის „ერთი ოთახის“ მოწყობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი „სოციალური კომისია“.</p>
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება

ბ.5) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 14		220.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის თანახმად, პირველკლასელებს დაურიგდებათ საბანკო ბარათები და მის გამოყენებას შეძლებენ მხოლოდ გარკვეულ კვების ობიექტებში და მარკეტებში.</p> <p>2. ბარათით სარგებლობა გარკვეულწილად შეზღუდულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. შეუძლებელია ბარათის მეშვეობით ბანკომატიდან თანხის გამოტანა და ასევე ბარათის გამოყენება ონლაინ გადახდებისთვის.</p> <p>3. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში მშობელი ან/და კანონიერი წარმომადგენელი დაუყოვნებლივ მიმართავს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით, ბარათის აღდგენის თაობაზე.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

გ) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03		100.0
პროგრამის განმახორციელებელი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		

სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების (ძირითადად ხანძარი, გამონაკლისის შემთხვევაში სხვა მიზეზები) შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულად დახმარებას განიხილება მხოლოდ საცხოვრებელი ფართის დაზიანება ან განადგურება, რომელიც პირობითად იყოფა სამ კატეგორიად:</p> <p>ა) ორსართულიანი კაპიტალური სახლის სრული დაზიანება -დაფინანსება 10 000 დან -15 000 ლარამდე;</p> <p>ბ) ერთსართულიანი კაპიტალური ან ხის სახლის არასრული დაზიანება-დაფინანსება 5000-დან 10 000-ლარამდე;</p> <p>გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კატეგორიების შედარებით მსუბუქი დაზიანება – 3000 ლარამდე.</p> <p>2.წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</p> <p>ა) სახანძრო-სამაშველო სამსახურის დასკვნა ხანძრით მიყენებული ზარალის შესახებ;</p> <p>ბ) შესაბამისი ფაქტის ამსახველი ფოტო-მასალა ადმინისტრაციულ ერთეულში წარმომადგენლის მიერ დამოწმებული და მისივე შუამდგომლობა;</p> <p>გ)საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურის მიერ შედგენილი დეფექტური აქტი.</p> <p>3.დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით დაზარალებულის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. დაფინანსებას ექვემდებარება მიმდინარე საბიუჯეტო წელს მომხდარი შემთხვევა.</p> <p>4.დაზარალებულთა განცხადების განიხილვას და შესაბამის გადაწყვეტილებას ღებულობს „სოციალური კომისია“.</p>
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

დ) სარიტუალო მომსახურება

დ.ა) ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 06 04 01	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში 5.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს</p> <p>ა) გარდაცვლილი დიდი სამამულო ომის მონაწილეების, მასთან გათანაბრებული პირების, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა ოჯახებისთვის სარიტუალო ხარჯების 250 ლარის ოდენობით დაფინანსებას.</p> <p>ბ) გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებისთვის სარიტუალო ხარჯების 200 ლარის ოდენობით დაფინანსებას.</p> <p>2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია :</p> <p>ა) ცნობა გარდაცვალების შესახებ;</p> <p>ბ) გარდაცვლილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;</p> <p>გ) განმცხადებლის გარდაცვლილთან ნათესაური კავშირის (ოჯახის წევრი) დამადასტურებელი დოკუმენტი;</p> <p>დ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.</p> <p>3.დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.</p>		

დ.ბ) უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	06 04 02		5.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფას		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უპატრონო მიცვალებულთა პატივგება.		

ე) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 05		375.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „წალენჯიხის სათნოების სახლი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 120 000-ს.</p> <p>2. ბენეფიციართა შერჩევას თანაბარი ქულის ქონის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:</p> <p>ა) საპენსიო ასაკს;</p> <p>ბ) ოჯახის შრომისუნარო წევრ(ებ)ის(შემ პირი) ყოლას;</p> <p>გ) დედ-მამით ობოლ ბავშვებს;</p> <p>დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახების წევრებს;</p> <p>ე) გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებს;</p> <p>ვ) იშვიათი გამონაკლისის (სოციალურ სააგენტოში არ უფიქსირდება სარეიტინგო ქულა ან 120 000 ქულაზე მეტია) შემთხვევაში, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“ განმახორციელებელი ა(ა)იპ „წალენჯიხის სათნოების სახლის“ დირექტორი გადაწყვეტს მოქალაქის ბენეფიციარად დარეგისტრირებას, მერიის წარმომადგენლის(შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში) წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე;</p> <p>ზ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის ბენეფიციართა რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ამ პროგრამით მოსარგებლეთა საერთო რაოდენობის 10%-ს.</p> <p>3. პროგრამის განხორციელებას (განცხადების მიღება, ბენეფიციართა შერჩევა და სხვა) სამოქმედო ტერიტორიაზე (ქ.ჯვარი, ქ.წალენჯიხა) უზრუნველყოფს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წალენჯიხის სათნოების სახლი“.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება		

ზ) ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	06 08		8.4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შესაძლებლობის ფარგლებში ზრუნავს ომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კანონიერი უფლებების ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისა და სხვა პრობლემების გადაჭრელად.</p> <p>- კონსულტაციის გაწევა ვეტერანთა მოწმობის გამოცვლის პროცედურების და სათანადო საბუთების მოძიებაში.</p> <p>- შშმ ვეტერანთა სოციალური მდგომარეობის შესწავლა, ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების გადაჭრის მიზნით ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით წინადადებების წარდგენა მერიამში.</p> <p>- სისტემატური კავშირი ვეტერანთა საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.</p> <p>- უპატრონო ვეტერანთა სასაფლაოების მოძიება და მათი მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაგეგმვა და წარდგენა მერიის შესაბამის სტრუქტურებთან.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური, ეკონომიკური, ყოფითი პირობების გაუმჯობესება		

თ) გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	06 09		10.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის გენდერული თანასწორობის საბჭო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის-ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საწიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გენდერული საჭიროებების შესწავლა და ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების. სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმართვლობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე, რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოყვას ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან. მოხდეს ყველა გენდერული ჯგუფის მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსებით.</p>		
